სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის“

გარემოს დაცვის პოლიტიკა

სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის“ გარემოს დაცვის პოლიტიკა ძირითადად ეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ნორმატიულ აქტებს და მათ შორის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ნარჩენების მართვის კოდექსს“.

კოდექსის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით გადამუშავებას.

ამ კოდექსის ამოცანაა გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა:

ა) ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით;

ბ) ნარჩენების მართვის ეფექტური მექანიზმების შექმნით;

გ) რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტური გამოყენებით.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნებია

1. ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა განხორციელდეს ნარჩენების სახეობების, მახასიათებლებისა და შემადგენლობების მიხედვით, ისე, რომ შემდგომ დაბრკოლება არ შეექმნას აღდგენას;
2. ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, დამუშავების დროს მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება;
3. ნარჩენების ტრანსპორტირების შედეგად, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევაში, ნარჩენების გადამზიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება;
4. ნარჩენების წარმომქმნელი და ნარჩენების მფლობელი ვალდებულნი არიან, ნარჩენი თავად დაამუშაონ ან შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების მიზნით გადასცენ შესაბამისი უფლების მქონე პირებს ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;

5. პირი, რომელიც ახორციელებს ნარჩენების შეგროვებას ან ტრანსპორტირებას, ვალდებულია, ნარჩენები დასამუშავებლად გადასცეს შესაბამის ობიექტს, რომელსაც აქვს სათანადო ნებართვა, ან გავლილი აქვს რეგისტრაცია;
6. ნარჩენის გადამზიდველი ვალდებულია, სახიფათო ნარჩენის ტრანსპორტირების განხორციელებამდე მიიღოს ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას თან იქონიოს აღნიშნული მოწმობა;
7. აკრძალულია ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ინსინერატორის გარეთ დაწვა;
8. ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ნარჩენების მართვის სტრატეგიები

კოდექსის შესაბამისად გარემოს დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკას და მიზნებს 15–წლიანი პერიოდისათვის.

კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა

1. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი, ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება, ვალდებულია, რომ შეიმუშაოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

   გეგმა ძირითადად უნდა შეიცავდეს:

   ა) წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაციას (კერძოდ, მონაცემებს მათი წარმოშობის, ნარჩენების ნუსხით განსაზღვრული ნარჩენების სახეობების, შემადგენლობის, რაოდენობის შესახებ);

   ბ) ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, განსაკუთრებით – სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში;

   გ) წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირების მეთოდის, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევების მეთოდის აღწერას;

   დ) ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდებსა და პირობებს;

   ე) ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებულ მეთოდებს ან/და იმ პირის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც ნარჩენები შემდგომი დამუშავებისთვის გადაეცემა.

1. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა წარედგინება სამინისტროს. გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესს განსაზღვრავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი. მოთხოვნის შემთხვევაში გეგმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული მუნიციპალიტეტისთვის და სხვა პირისათვის;
2. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განახლება ხდება ყოველ 3 წელიწადში, ასევე წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის შეცვლის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში.

გარემოს დაცვითი მმართველი

კოდექსის ზემოხსენებული პუნქტების შესასრულებლად კლინიკას დაევალა ბრძანებით განესაზღვრა გარემოსდაცვითი მმართველი. მისი ვინაობის შესახებ ინფორმაცია (კერძოდ, გარემოსდაცვითი მმართველის სახელი და გვარი) დაუყოვნებლივ ეგზავნება სამინისტროს.

გარემოსდაცვითი მმართველის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები:

ა)კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და განახლება;

ბ)კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების ორგანიზება;

გ)ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელება.

სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში“ დირექტორის ბრძანებით დაინიშნა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კვალიფიციური პერსონალი – ნანა დიდიძე. მან გაიარა შესაბამისი ტრენინგი და სერტიფიცირებულია გარემოსდაცვით საკითხებში, სამინისტროს მიერ.

აღნიშნულის გარდა, გარემოსდაცვით საქმიანობას და მის სრულყოფას სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში“ ახორციელებენ კლინიკის სამედიცინო ხარისხის მართვის დეპარტამენტი, კლინიკის დიასახლისი და კლინიკის უფროსი მედდა.

გარემოს დაცვის სამინისტროს, მის მიერ მოწოდებული ნორმატიული აქტების თანახმად, წარედგინა ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაცია და ნარჩენების მართვის

გეგმა, რომელიც მიღებული და დამტკიცებულია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ. წლის განმავლობაში ნარჩენების მართვაში ნებისმიერი სახის ცვლილების შეტანისას, განახლებული გეგმა დაუყოვნებლივ წარედგინება სამინისტროს.

კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს სრულყოფილად აქვს წარმოდგენილი კომპანიის გარემოს დაცვითი პოლიტიკა.

გენერალური დირექტორი

ლ. ბაზაძე

გარემოს დაცვითი

მმართველი ნ. დიდიძე

The environment protection policy of the JSC "K. Eristavi Experimental and Clinical National Center of Surgery"

is based on the normative acts, which are issued by the government of Georgia, mainly based on the "Waste Management Code". The purpose of this Code is to establish a legal framework in the field of waste management to implement measures that will facilitate waste prevention and its increased re-use as well as environmentally safe treatment of waste. The objective of this Code is to protect the environment and human health through:

A) The prevention or reduction of waste and its adverse impact;

B) The establishment of effective mechanisms for waste management;

C) The reduction of damage caused by the consumption of resources and the more efficient use of resources.

General requirements related to waste management:

1. The collection, transportation and treatment of waste shall be carried out according to its type, characteristics and composition, without preventing its further recovery.

2. The collection, transportation and treatment of waste shall exclude environmental pollution and harmful effects on human health to the maximum extent possible.

3. In the case of environmental pollution resulting from the transportation of waste, the waste transporter shall ensure the implementation of cleaning activities.

4. A waste producer and a waste holder shall treat their waste on their own or transfer it for collection, transportation and treatment to persons entitled to carry out such activities according to this Code and other legislative and subordinate normative acts of Georgia.

5. Persons who collect or transport waste shall transfer it for treatment to appropriate facilities having an appropriate permit or registration.

6. A waste transporter shall, before transporting hazardous waste, obtain an admission certificate for a means of transport to transport waste, whereas the driver of a means of transport shall have the above certificate with him when transporting hazardous waste.

7. Waste may not be burnt outside an incinerator that does not have an appropriate permit.

8. Conditions for waste incineration and co-incineration shall be defined by an ordinance of the Government of Georgia.

Waste management strategies

According to this Code, the Ministry shall develop a national waste management strategy defining the waste management policy in Georgia and waste management objectives for a period of 15 years.

Company waste management plan

1. Natural or legal persons who annually produce more than 200 tonnes of non-hazardous waste or more than 1 000 tonnes of inert waste, or any amount of hazardous waste, shall prepare a company waste management plan. The plan shall generally include:

A) Information about waste generated (in particular about its origin, and types, composition and amount of waste defined in the List of Waste);

B) Information on the measures to be taken for the prevention of waste generation and its recovery, especially in the case of hazardous waste;

C) A description of the method for separation of waste generated, in particular of hazardous waste, from the other waste;

D) Methods and conditions for the temporary storage of waste;

E) Waste treatment methods applied and/or information on persons to whom waste is transferred for further treatment.

2. A company waste management plan shall be submitted to the Ministry. The Minister of Environment and Natural Resources Protection of Georgia shall determine the procedure for the consideration and approval of the plan. If so requested, the plan shall be made available to the municipalities concerned and to other persons.

3. A company waste management plan shall be revised every three years or when there are substantial changes in the types and quantities of waste generated, or in processes of waste treatment.

Environmental manager

The clinic was asked to nominate an environmental manager by the order who will be responsible for taking appropriate measures according to the above mentioned points. Information about such nomination (in particular, the name and surname of the environmental manager) shall be immediately provided to the Ministry.

The waste related duties of an environmental manager shall be the following:

A) To draft and update the waste management plan of the company;

B) To organise the implementation of the waste management plan of the company;

c) To supervise internal compliance with legal requirements of the legislation of Georgia on waste management.

By the order of the director of the JSC "K. Eristavi Experimental and Clinical National Center of Surgery" a qualified and experienced personnel – Nana Dididze, was nominated for the position. She underwent the relevant training and is certified in the environment protection issues by the ministry.

In addition to that, the environment protection at the JSC "K. Eristavi Experimental and Clinical National Center of Surgery" will be carried out by the medical quality management department, a matron and the head nurse of the clinic.

The initial inventory of waste and waste management plan, which was made according to the normative acts provided by the ministry, was provided to the Ministry of Environment Protection, which was approved and implemented by the ministry. In case of any change in waste management during the year, the renewed plan will be immediately submitted to the Ministry.

Director

Lasha Bazadze

Environmental Manager

Nana Dididze